9/2/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიატო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 4 (375)

1972 წლის აპრილი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 4 (375) აპრილი 1972 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

56. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ფ. ა. ანანიაშვილის საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ.

57. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.

განყოფილება მეორე

58. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

59. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის თანამშრომლებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

60. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

61. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. ა. ალავიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

62. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. გ. ბაღაშვილას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

63. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ა. ღ. ზურაბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

სსრ. სან

ეროვნული ბიბლიოთეკა

64. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „საბჭოთა ცხოვრების“ რედაქციის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

65. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. გ. ავეტისოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

66. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ვ. იოსელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

67. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ს. ქემოკლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

68. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ი. ჯაშის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

69. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოები შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში
საინფორმაციო ცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

56 ამხ. ფ. ა. ანანიაშვილის საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ფარნაოზ ანანიას ძე **ანანიაშვილი** საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 17 აპრილი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

57 საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

„საქართველოს სსრ მიწის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ 1971 წლის 13 ივლისის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტები, თანახმად დანართისა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 აპრილის ბრძანებულებისა „საქართველოს სსრ მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ“.

ნუსხა

იმ საკანონმდებლო აქტებისა, რომლებმაც ძალა დაკარგეს

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1924 წლის 15 მაისის დადგენილება „საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის მიწის კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1924 წ., № 1, მუხ. 22).

2. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1925 წლის 15 აპრილის დადგენილება „მიწის კოდექსის 19, 67, 96 და 161 მუხლების შეცვლის შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ., № 2, მუხ. 29).

3. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის პრეზიდიუმის და საქართველოს სახკომსაბჭოს 1925 წლის 21 სექტემბრის დადგენილება „მიწის კოდექსის მე-9 მუხლის შეცვლის შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 65).

4. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1925 წლის 30 სექტემბრის დადგენილება „მიწის კოდექსის 24, 53, 54, 55, 57, 161, 162, 163, 164, 165 და 166 მუხლის შეცვლის შესახებ“. (საქ. სსრ. კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 67).

5. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1925 წლის 3 ნოემბრის დადგენილება „მიწის კოდექსის მე-9, 23, 26 და 37 მუხლის შეცვლისა და დამატების შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 82).

6. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1925 წ. 15 ნოემბრის დადგენილება „მიწის კოდექსის მე-40 მუხლისა და მისი შენიშვნის ქართული რედაქციის შეცვლის შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 86).

7. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1925 წლის 18 დეკემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ მიწის კოდექსის მე-9 მუხლის შევსების შესახებ, რითაც მშრომელ უცხოელთ მიენიჭებათ შრომის საფუძველზე მიწის სარგებლობის უფლება“. (საქ. სსრ კან. კრ. 1922 წ., № 3, მუხ. 89).

8. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1925 წლის 25 დეკემბრის დადგენილება „ქ. ქუთაისისათვის მიწის ნორმის შეცვლის შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1925 წ., № 3, მუხ. 91).

9. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1926 წლის 1 თებერვლის დადგენილება „მიწის კანონთა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ., № 1, მუხ. 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის, 1926 წლის 10 თებერვლის დადგენილება „მიწის კოდექსის 127 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ., № 1, მუხ. 10).

11. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის 1926 წლის 10 აგვისტოს დადგენილება „მიწის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის სესიებს შუა“. (საქ. სსრ კან. კრ. 1926 წ., № 4, მუხ. 96).

12. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1927 წლის 1 თებერვლის დადგენილება „მიწის კოდექსის 23, 25, 27, 28, 30, 31, 34, 36 და 118 მუხლების შეცვლისა და დამატების შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ., № 2, მუხ. 16).

13. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1927 წლის 30 სექტემბრის დადგენილება „მიწის კოდექსის 96 მუხლისათვის მე-3 შენიშვნის დამატების შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ., № 9, მუხ. 134).

14. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1929 წლის 30 იანვრის დადგენილება „მიწის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ., № 3, მუხ. 30).

15. სრულიად საქართველოს ცაკის 1929 წლის 1 მარტის დადგენილება მიწის კოდექსის იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა“. (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ., № 11, მუხ. 87).

16. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1929 წლის 28 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის მიწის კოდექსის 27-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების შეცვლისა და იმავე კოდექსის 29 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ., № 20, მუხ. 225).

17. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1929 წლის 20 ნოემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ მიწის კოდექსისათვის მე-2[1] მუხლის დამატებისა და ამ კოდექსის 23-ე მუხლის შენიშვნის რედაქციის შეცვლისა და 92[1] მუხლის გაუქმების შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ., № 23, მუხ. 293).

18. სრულიად საქართველოს ცაკის 1930 წლის 17 იანვრის დადგენილება „საქართველოს სსრ-ის კოდექსების იმ ცვლილებისა და დამატების დამტკიცების შესახებ, რაც მიღებულ იქნა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებს შუა“ — მიწის კოდექსის ნაწილში. (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ., № 7, მუხ. 59).

19. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1930 წლის 24 ნოემბრის დადგენილება „საადგილმამულო დავათა გადამწყვეტი სპეციალური ორგანოების გაუქმებისა, ამ დავათა განხილვის წესებისა და საქართველოს სსრ მიწის კოდექსის შეცვლისა და დამატების შესახებ“, (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ., № 24, მუხ. 334).

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

20. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 23 მარტის დადგენილება „საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 96 მუხლის შეცვლის შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ., № 11, მუხ. 72).

21. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 13 მაისის დადგენილება „მიწის კოდექსის 94-ე მუხლის შეცვლის შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ., № 13, მუხ. 94).

22. სრულიად საქართველოს ცაკის და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1934 წლის 16 ივნისის დადგენილება „განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადოთ სარგებლობის უფლებით, მიწის ნაკვეთების გადაცემის შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ., № 23, მუხ. 191).

23. საქართველოს ცაკის და საქართველოს სახკომსაბჭოს 1937 წლის 26 ნოემბრის დადგენილება „განსაზოგადოებული სექტორის დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათათვის სამშენებლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით მიწის ნაკვეთების გადაცემის თაობაზე გამოცემული დადგენილების დამატების შესახებ“. (საქ. სსრ კან. კრ. 1937 წ., № 20, მუხ. 145).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

58 მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდოების შესახებ

წყალწაღებულთა გადარჩენისას გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ბორჯომის რაიონის ახალდაბის საშუალო სკოლის მოსწავლე ბესიკ გიორგის ძე ჯოხაძე დაჯილდოვდეს მედლით „წყალწაღებულთა გადარჩენისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჰაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

59 გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის თანამშრომლებისათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართულ საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ დაარსებიდან ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტის:

ვეფხო აბრამის ძე **აკობაშვილს** — პენსიონერს.
დავით ისაკის ძე **ქათამაძეს** — განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის:

რევაზ ვასილის ძე **დავითურს** — განყოფილების გამგეს.
კომანდო შალვას ძე **დობორჯგინიძეს** — განყოფილების გამგეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 21 აპრილი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

60 ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობთათვის საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობებს მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:

1. გაბრიელ დანიელის ძე **ტაუგაზოვს** — მსახიობს.
2. ბორის ალექსანდრეს ძე **ცხოვრებოვს** — მსახიობს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

1. თამარ გასანის ასულ **გასანოვას** — მსახიობს.
2. რაისა ზაქარიას ასულ **გასიევას** — მსახიობს.

№ 4 ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ეველინა ლენტოს ასულ **გუგკაევას** — მსახიობს.
4. ელისაბედ ვასილის ასულ **თარალაშვილს** — მსახიობს.
5. ალიხან ვასილის ძე **თედეევს** — მსახიობს.
6. რაისა გრიგოლის ასულ **პლიევას (გრიგორიანს)** — მსახიობს.
7. რუსლან მიხეილის ძე **ჩაბიევს** — მსახიობს.
8. კაძახმატ ნიკოლოზის ძე **ჩოჩიევს** — მსახიობს.
9. რუსლან გიორგის ძე **ძაგოევს** — მსახიობს.
10. ივანე გრიგოლის ძე **ჯიგკაევს** — მსახიობს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

61 ამხ. ბ. ა. ალავიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. გიორგი არტემის ძე **ალავიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1972 წლის 6 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

62 ამხ. ი. გ. ბაღაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს უფროსი ამხ. ილია გიორგის ძე **ბაღაშვილი** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 6 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

63 პროფესორ ა. დ. ზურაბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **ავლიპი დავითის ძე ზურაბაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 6 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

64 გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამოცემლობის სტამბის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვისა და პოლიგრაფიის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ დაარსებიდან ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით, **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

1. ვახტანგ ივანეს ძე **ბაშარული** — სტამბის ცინკოგრაფი.
2. იაკობ მიხეილის ძე **ბენიაშვილი** — სტამბის დამკაბადონებელი.
3. იზაბელა დავითის ასული **გერმესაშვილი** — ლიტერატურული მუშაკი.
4. თენგიზ შალვას ძე **გიორგაძე** — შტატგარეშე განყოფილების გამგე.
5. ასმათ ქიმას ასული **თიბილაშვილი** — სტამბის ლინოტიპისტი.
6. ცისანა ნიკოლოზის ასული **თურქაძე** — ლიტერატურული მუშაკი.
7. მაყვალა ვარლამის ასული **ინასარიძე** — განყოფილების გამგე.
8. ტასო ვასილის ასული **კევლიშვილი** — კორექტორი.
9. შაქრო მიხეილის ძე **კირვალიძე** — კორესპონდენტი.
10. მზია აკაკის ასული **კობერიძე** — ლიტერატურული მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11. მაყვალა ალექსანდრეს ასული **ოქროპირიძე** — განყოფილების გამგე.
12. მედეა ვალერიანის ასული **ცოტაძე** — ლიტერატურული მუშაკი.
13. გიორგი ფილიპეს ძე **ხენგავა** — ლიტერატურული მუშაკი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 21 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

65 ამხ. გ. გ. ავეტისოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პერსონალური პენსიონერი ამხ. გიორგი გრიგოლის ძე **ავეტისოვი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

66 ამხ. ა. ვ. იოსელიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საფინანსო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ცენტრალური ბუღალტერიის მთავარი ბუღალტერი ამხ. ალექსანდრე ვიქტორის ძე **იოსელიანი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

67 ამხ. ა. ს. ქემოკლიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული კომისიის წევრი ამხ. ალექსანდრე სოლომონის ძე **ქემოკლიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

68 ამხ. მ. ი. ჯაფის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, პროფესიული კავშირების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს განყოფილების გამგე ამხ. მაკარ ივანეს ძე **ჯაფი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

69 ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებასთან დაკავშირებით **ცხინვალის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაშაძე.**

თბილისი, 1972 წლის 28 აპრილი.

№ 4
ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 28 აპრილის სხდომაზე განიხილა საკითხი შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის მდგომარეობის შესახებ ლანჩხუთის, ლენტეხის და ქარელის რაიონებში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები გარკვეულ მუშაობას ატარებენ შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დასაცავად. კოლმეურნეობათა უმრავლესობაში რეგულარულად იმართება გამგეობებისა და კოლმეურნეთა საერთო კრებები, რომლებზეც იხილავენ საკოლმეურნეო წესდების გატარებისა და შრომის ორგანიზაციის მნიშვნელოვან საკითხებს. გასულ წელს ლანჩხუთის და ლენტეხის რაიონული საბჭოების აღმასკომებმა სესიებზე განიხილეს საკოლმეურნეო წესდების დაცვის მდგომარეობის საკითხი, ხოლო ლანჩხუთის რაიონის გვიმბალაურის, ლესა—ჭინათის, ჯურუყვეთის, ნიგოითის, ლენტეხის რაიონის ჩიხარეშის, ჯახუნდრის და სხვა სასოფლო საბჭოების აღმასკომების მსჯელობის საგანი იყო მიწათსარგებლობის შესახებ კანონის დაცვის, შრომის ორგანიზაციისა და სხვა საკითხები.

ამასთან აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებში ადგილი აქვს შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების სერიოზული დარღვევის შემთხვევებს.

ზოგიერთ კოლმეურნეობაში არასაკმაო ყურადღება ექცევა კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებისა და გამგეობის სხდომის რეგულარულად და ორგანიზებულად ჩატარებას.

ადგილი აქვს კოლმეურნეობის წევრთა უკანონოდ დაჯარიმების შემთხვევებს.

ბევრ კოლმეურნეობაში ირღვევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ". კოლმეურნეობათა გამგეობებს, ნაცვლად სასოფლო საბჭოების აღმასკომებისა, გამოაქვთ დადგენილებები წანახედისათვის მოქალაქეთა დაჯარიმებისა და ზარალის ანაზღაურების შესახებ.

ნაკლოვანებებია კოლმეურნეობების სარევიზიო კომისიების მუშაობაშიც.

ყოველივე ზემოაღნიშნული ძირითადად გამოწვეულია იმით, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ჯერ კიდევ სრულად ვერ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებებს, არ ამოწმებენ კოლმეურნეობებში შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების დაცვის საკითხებს და არ იღებენ ზომებს არსებულ დარღვევათა გამოსასწორებლად. ამ საქმეში სუსტად არიან ჩაბმული საბჭოების სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიები და დეპუტატები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დასახა სათანადო ღონისძიებანი.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 28 მარტის დადგენილებით ბ. ბ. ნიკოლაიშვილს და თ. ვ. წერეთელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების ყოფილ მუშაკებს, უღირსი საქციელისათვის ჩამოერთვათ მედალი „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში წარჩინებული სამსახურისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივმა კომისიამ განიხილა ქ. გორისა და გორის რაიონის მოსახლეობის სამგზავრო ავტოტრანსპორტით მომსახურების მდგომარეობა. კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქალაქისა და რაიონის მოსახლეობას მომსახურებას უწევს გორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმო, რომელმაც 1971 წელს 1970 წელთან შედარებით გეგმის გადაჭარბებით 522,8 ათასით მეტი მგზავრი გადაიყვანა.

გორის რაიონის არც ერთი სოფელი, სადაც გზის პირობები ამის საშუალებას იძლევა, არ არის დარჩენილი ავტობუსით მომსახურების გარეშე, ყველა მათგანი დაკავშირებულია რაიონის ცენტრთან, ხოლო დიდი სოფლები (ატენი, ნიქოზი, ბერშუეთი, ქვეში, არბო, მერეთი, ჯარიაშენი და ძევერა) პირდაპირ საქალაქთაშორისო მიმოსვლით დაკავშირებულია ქ. თბილისთან. ასევე პირდაპირი საავტობუსო მიმოსვლაა დაწესებული კუტორტების — ბორჯომის, სოხუმის, ბათუმის, ჯავის, წყალტუბოს და მსხვილი ქალაქების — ქუთაისის, ორჯონიკიძისა და სხვათა მიმართულებით.

ამასთან ერთად კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქ. გორისა და გორის რაიონის მოსახლეობის სამგზავრო ავტოტრანსპორტით მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებები.

გორის სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს ბაზა ვერ უზრუნველყოფს მოძრავი შემადგენლობის ნორმალურ ტექნიკურ მომსახურებას, რის გამოც ავტობუსები ნაადრევად ბრუნდებიან ხაზიდან ტექნიკური უწესივრობის გამო, არის რეისების ჩაშლის შემთხვევები. ზოგიერთი ავტობუსის ტექნიკური, გარეგანი და შიდა მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

გორის მთელი რიგი დასახლებული უბნები ცუდი გზების გამო დარჩენილია ტრანსპორტით მომსახურების გარეშე (წმინდაწყლის და კვერნაკის დასახლება, გოგებაშვილის და ნინოშვილის ქუჩა და სხვ.).

მთელ რიგ მარშრუტებზე მოუწესრიგებელია ავტობუსის გაჩერების ადგილი, არ არის მოწყობილი ბაქნები, მოსაცდელი პავილიონები და განათება. კეთილმოუწყობელია რაიონის სოფლებში არსებული საბილეთო სალაროები, ხოლო მერეთში, ქვეშში, ფლავში საერთოდ არ არის საბილეთო სალაროები.

ავტომეურნეობაში ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა, მძღოლები არღვევენ ხოლმე ქუჩაში მოძრაობის წესებს. სათანადო ყურადღება არ ექცევა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების აღრიცხვისა და მათზე ... ების დროულად გაცემის საქმეს.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები ნ. ბერიკაშვილი, მ. ჩიკვაიძე; საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე რ. ლეიაშვილი, გორის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ნ. ონიაშვილი, ბ. გოცირიძე, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველი ლ. ვარდიშვილი, გორის ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორი ი. გვრიტიშვილი.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ბერიძემ.

კომისიამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივმა კომისიამ მოისმინა რესპუბლიკის პროკურორის დეპუტატ ა. ტაკიძის მოხსენება და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის დეპუტატ ა. ხუროძის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ჯ. ლომაშვილისა და „საქკოლმშენის“ თავმჯდომარის ვ. გელაშვილის თანამოხსენებანი საქვეყნებო ორგანიზაციებში სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა და „საქკოლმშენმა“ გააააქტიურეს დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა შრომითი კოლექტივების ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველყოფისათვის. ამასთან ხაზგასმით აღინიშნა, რომ ხსენებული სამინისტროსა და უწყებების საქმიანობას სოციალისტური კანონიერების უზრუნველსაყოფად გააჩნია სერიოზული ნაკლოვანებანი. ისინი არ ეწევიან ქმედით მუშაობას სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, დატაცებისა და გაფლანგვის გამომწვევი მიზეზების და პირობების აღმოფხვრისათვის.

კვების მრეწველობის სამინისტროსა და „საქკოლმშენისადმი“ დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში გამოვლინებულია სოციალისტური საკუთრების დატაცების, სახალხო დოვლათის განაავების ფაქტები, რომლებიც შესაძლებელი გახდა იმის შედეგად, რომ მოუწესრიგებელია აღრიცხვა და ანგარიშგება, სათანადო კონტროლს არ ახორციელებს ხელმძღვანელობა, ნაკლოვანებანია კადრების შერჩევასა და განაწილებაში.

გამოვლინებულია სოციალისტური საკუთრების დატაცების შემთხვევები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ორგანიზაციებში. სახელმწიფო სახსრების არასწორად ხარჯვის ფაქტები გამოვლინებულია გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“. ზოგიერთ გამომცემლობაში ირღვევა ლიტერატურის გამოშვების დადგენილი ვადები, რის შედეგად წარმოება მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს განიცდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომისიის სხდომაზე სერიოზულად გააკრიტიკეს ზემოთ აღნიშნული ორგანიზაციების საქმიანობაში არსებული სხვა ნაკლოვანებანიც.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები გ. ბუჟგულაშვილი და ი. ელოშვილი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი ვ. ჭელიძე და სხვები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა შ. ჭანუყვაძემ.

განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილის უ. ობოლაძის მოხსენება მოსწავლეთა XXIV რესპუბლიკური და XII სრულიად საკავშირო სპარტაკიადებისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში დიდი მუშაობაა გაწეული შიდასასკოლო, რაიონული, საქალაქო და ზონალური სპარტაკიადების მაღალ დონეზე მოწყობისათვის.

ამასთან კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მოსწავლეთა სპარტაკიადებისათვის მზადების საქმეში არის ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის ზოგიერთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში არ გამართულა შიდასასკოლო შეჯიბრებები. რაიონებისა და ქალაქების ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტულმა სკოლებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს სპორტსმენების მომზადება ისეთი სახეობის სპორტში, როგორიცაა მძლეოსნობა, ცურვა, სპორტული ტანვარჯიში, ველოსპორტი და სხვ.

ნაკლოვანებებია რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სპორტული ორგანიზაციების ხარისხოვანი სპორტული ინვენტარით და სპორტული ფორმით მომარაგების საქმეში.

დამაკმაყოფილებელი არ არის ბავშვთა ნაკრები გუნდების სპორტული მომზადება ტყვიის სროლაში, ხელბურთში (ჭაბუკები), ჭადრაკში, მძლეოსნობაში (გოგონები) და ცურვაში.

ჭიანურდება სპორტსკოლების მშენებლობა (აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი, ქალაქები გორი, ჭუთაისი, ყვარლის და ორჯონიკიძის რაიონები).

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს არ განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებანი სპარტაკიადებისათვის მოსამზადებლად.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები ი. ყიფიანი, გ. კავთიაშვილი, მ. გვიშიანი, ზ. მანთაშაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ლ. სანაძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ტ. ჩაჩანიძე, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სამრეწველო საქონლის ვაჭრობის სამმართველოს უფრო-

№ 1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სი ა. მათიაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების გამგე თ. ეგაძე და სხვები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. გელბახიანმა.

განხილულ საკითხზე მიღებულია სათანადო დადგენილება.

* * *

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიისა და ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების გაერთიანებული სხდომა, რომელშაც მოისმინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის დეპუტატ ვ. ბოჭორიშვილის მოხსენება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონის პროექტის შესახებ.

განხილულ საკითხზე კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, დეპუტატი პ. გელახიანი, იუსტიციის მინისტრი დეპუტატი ვ. მაისურაძე, დეპუტატები გ. ბუკგულაშვილი, ა. კარანაძე, ი. ყიფიანი, მ. გვინიანი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე პ. ბერძენიშვილი და სხვები.

სხდომაზე აღინიშნა, რომ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის საფუძვლების შემუშავება და მიღება კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რა დიდად ზრუნავენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა კეთილდღეობისა და ჯანმრთელობისათვის, ეს კიდევ ერთი ნაბიჯია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზაზე. სსრ კავშირის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად შემუშავებული საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის კანონის პროექტი მუდმივ კომისიებში მის განხილვამდე ყოველმხრივ და ფართოდ განიხილეს მშრომელთა კოლექტივებში, საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, სამინისტროებსა და უწყებებში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებში. განხილვის პროცესში რესპუბლიკის მშრომელებმა ერთსულოვნად მოიწონეს კანონის პროექტი და მისი სრულყოფის მიზნით, შეიტანეს შენიშვნები და წინადადებანი.

მუდმივი კომისიების გაერთიანებულ სხდომაზე საგულდაგულოდ განიხილეს წარმოდგენილი შენიშვნები და წინადადებანი. კომისიებმა დაადგინეს მოიწონონ ძირითადად კანონის პროექტი, შეიტანონ მასში შესაბამისი კორექტივები და ცვლილებანი და წარუდგინონ განსახილველად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

კომისიათა გაერთიანებული სხდომის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა შ. ჭანუყვაძემ.

* * *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომამ მოისმინა საქართველოს სსრ მოსახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეობის საყოფაცხოვრებო ძომსახურების მინისტრის მოადგილის ამხ. ა. ჭაბუკიანის მოხსენება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობის მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში. სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობის საქმეში გარკვეული წარმატებებია მოპოვებული.

1971 წელს რესპუბლიკაში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 300-ზე მეტი საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი.

ამასთან ერთად მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მშენებელმა ორგანიზაციებმა ვერ უზრუნველყვეს **კაპიტალური** მშენებლობის 1971 წლის და 1972 წლის პირველი კვარტალის **გეგმების** შესრულება.

მშენებლობის გეგმა არ შეასრულეს საქართველოს სსრ მშენებლობის და სასოფლო მშენებლობის სამინისტროების სამშენებლო ორგანიზაციებმა.

დიდი გარღვევებია ცალკეული ობიექტების მშენებლობის გეგმების შესრულებაში.

გათვალისწინებული თანხის მხოლოდ 50 პროცენტი იქნა ათვისებული ქ. ბათუმში ქორწინების სახლის მშენებლობაზე. ნელი ტემპით მიმდინარეობს მუშუქი ავტომანქანების ტექმომსახურების სადგურის მშენებლობა გარდაბნის რაიონში. ჭიანურდება საყოფაცხოვრებო სახლის მშენებლობა ქუთაისში, ჰიგიენის სახლებისა ქ. ქ. ფოთში, გურჯაანში, დაბა ბოგდანოვკაში, საყოფაცხოვრებო კომბინატისა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში, ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკისა ქ. სოხუმში და სხვა.

ზემოდ აღნიშნულ რაიონებსა და ქალაქებში მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოები არ ღებულობენ ზომებს მშენებლობის მუშა ხელით უზრუნველსაყოფად, მშენებლობისათვის საჭირო ნაკვეთების დროულად გამოსაყოფად, ამ საქმეში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად ნაკლებად აბამენ საბჭოს მუდმივ კომისიებს, დეპუტატებს და სხვა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ: მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები: მ. კრაწაშვილი, ა. შადური, ნ. კახელი, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრის მოადგილე ვ. ღოღობერიძე, სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილე ბ. გეჯაძე, საქავტოპროფილაქტიკის სამმართველოს უფროსი ა. მიქაუტაძე, საბჭოთა მეურნეობების მინისტრის მოადგილე გ. ჭირაქიძე.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ჟვანიამ.

განხილული საკითხის გამო კომისიამ მიიღო სათანადო დადგენილება.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

11890

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1972 წლის 28 მარტის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებით და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 378 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან	7
ქ. რუსთავიდან	5
ადიგენის რაიონიდან	9
ამბროლაურის „	5
ასპინძის „	6
ბოგდანოვკის „	5
ბოლნისის „	41
გარდაბნის „	148
გურჯაანის „	2
დმანისის „	100
დუშეთის „	5
ზუგდიდის „	4
თელავის „	9
თიანეთის „	1
კასპის „	12
ლაგოდეხის „	9
ცაგერის „	3
წყალტუბოს „	4
ხობის „	3